

**უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის
(შიდა მობილობის)
მსურველთა საყურადღებოდ!**

სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 -2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლის 24 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე შაბათ კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა)

მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. სტუ-ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

შენიშვნა: შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, ფაკულტეტის დეკანატის დასკვნის საფუძველზე.